# საქართველოს მთავრობის
# დადგენილება

N 18 2018 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

## „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №592 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №592 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2017, 470000000.10.003.020302) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“:

1. 22-ე მუხლის მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $12^1$ პუნქტი:

„$12^1$. სამედიცინო მომსახურების მიწოდებისას მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) ფორმა №3 რეცეპტის სპეციალური ელექტრონული სისტემის საშუალებით წარმოებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა, რომელიც გამოვლინდება:

ა) რევიზიის დროს გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას განმახორციელებლის მიერ სარევიზიო პერიოდში პროგრამის/კომპონენტის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 1%-ით;

ბ) ინდივიდუალური შემთხვევების რევიზიისას გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას განმახორციელებლის მიერ ამ შემთხვევისათვის პროგრამით ანაზღაურებული თანხის 10%-ით.".

**2. 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $3^1$ პუნქტი:**

„$3^1$. 2018 წლის 15 თებერვლიდან ქ. თბილისში არსებული ის სტაციონარული დაწესებულება (და, ასევე, იმავე ფაქტობრივ მისამართზე განთავსებული მისი ამბულატორიულ-სტრუქტურული ერთეული), რომელიც სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში (გარდა დანართ №20-ით განსაზღვრული რეფერალური მომსახურების პროგრამისა) აწვდის სტაციონარულ და/ან ამბულატორიულ მომსახურებას, ვალდებულია, უზრუნველყოს მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) ფორმა №3 რეცეპტის მხოლოდ ფორმა №3 რეცეპტის სპეციალური ელექტრონული სისტემის საშუალებით წარმოება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.".

**3. №6 დანართის (ინფექციური დაავადებების მართვა):**

**ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„ინფექციური დაავადებების მართვა (2018 წლის 1 იანვრამდე დამდგარი შემთხვევების ანაზღაურება) (პროგრამული კოდი: 35 03 02 06)";**

**ბ) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1,450.0 ათასი ლარით.".

4. №12 დანართის (ფსიქიკური ჯანმრთელობა):

ა) „დანართი 12.5 – პროგრამის მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების თვის ბიუჯეტი, მიმწოდებლის მიხედვით“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 12.5 – პროგრამის მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების თვის ბიუჯეტი, მიმწოდებლის მიხედვით:

| რეგიონი | რაიონი/ბენეფიციარი | დაწესებულება | თვის ბიუჯეტი |
|---|---|---|---|
| თბილისი | გლდანის რაიონი | შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ | 42 780 |
| | ნაძალადევის რაიონი | | |
| | დიდუბის რაიონი | შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ | 108 380 |
| | ჩუღურეთის რაიონი | | |
| | ვაკის რაიონი | | |
| | კრწანისის რაიონი | | |
| | მთაწმინდის რაიონი | | |
| | საბურთალოს რაიონი | | |
| | ისნის რაიონი | | |
| | სამგორის რაიონი | | |
| | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი | | |
| | დევნილები | შპს „აფხაზეთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“ | 3 520 |
| ქვემო ქართლის რეგიონი | ქ. რუსთავი და რუსთავის მუნიციპალიტეტი | შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ | 54 780 |
| | ბოლნისის მუნიციპალიტეტი | | |
| | გარდაბნის მუნიციპალიტეტი | | |
| | დმანისის მუნიციპალიტეტი | | |
| | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი | | |
| | მარნეულის მუნიციპალიტეტი | | |
| | წალკის მუნიციპალიტეტი | | |
| შიდა ქართლის რეგიონი | ქ. გორი და გორის მუნიციპალიტეტი | შპს „გორმედი“ | 27 180 |
| | კასპის მუნიციპალიტეტი | | |
| | ქარელის მუნიციპალიტეტი | | |
| | ხაშურის მუნიციპალიტეტი | შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ | 11 180 |
| იმერეთის რეგიონი | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი (1/2) | | |
| | ბორჯომის მუნიციპალიტეტი | | |
| | ახალციხის მუნიციპალიტეტი | შპს „უნიმედი სამცხე“ | 17 400 |

| | | | |
|---|---|---|---|
| სამცხე-ჯავახეთის რეგიონი | ადიგენის მუნიციპალიტეტი | | |
| | ასპინძის მუნიციპალიტეტი | | |
| | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი | | |
| | ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი | | |
| მცხეთა-მთიანეთის რეგიონი | მცხეთის მუნიციპალიტეტი | შპს „მცხეთის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი „ჯანმრთელი თაობა“ | 12 120 |
| | დუშეთის მუნიციპალიტეტი | | |
| | თიანეთის მუნიციპალიტეტი | | |
| | ყაზბეგის მუნიციპალიტეტი | | |
| კახეთის რეგიონი | თელავის მუნიციპალიტეტი | შპს „თელავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“ | 22 400 |
| | ახმეტის მუნიციპალიტეტი | | |
| | გურჯაანის მუნიციპალიტეტი | | |
| | ყვარლის მუნიციპალიტეტი | | |
| | სიღნაღის მუნიციპალიტეტი | შპს „არქიმედეს კლინიკა“ | 11 900 |
| | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი | | |
| | დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი | | |
| იმერეთის რეგიონი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი | შპს „ჯეოჰოსპიტალსი“ | 28 110 |
| | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი (1/2) | | |
| | საჩხერის მუნიციპალიტეტი | | |
| | ჭიათურის მუნიციპალიტეტი | | |
| | ვანის მუნიციპალიტეტი | | |
| | სამტრედიის მუნიციპალიტეტი | | |
| | ხონის მუნიციპალიტეტი | შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (2018 წლის 1 მარტამდე) | 3 100 |
| | ხონის მუნიციპალიტეტი | შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (2018 წლის 1 მარტიდან) | 11 500 |
| | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (1/3) | | |
| რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი | ცაგერის მუნიციპალიტეტი | | |
| | ლენტეხის მუნიციპალიტეტი | | |
| სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი | მარტვილის მუნიციპალიტეტი | | |
| იმერეთის რეგიონი | ქ. ქუთაისი და ქუთაისის მუნიციპალიტეტი | შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (2018 წლის 1 მარტამდე) | 40 580 |
| | ბაღდათის მუნიციპალიტეტი | | |
| | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | | |
| | თერჯოლის მუნიციპალიტეტი | | |
| | ტყიბულის მუნიციპალიტეტი | | |
| | ამბროლაურის მუნიციპალიტეტი | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი | ლენტეხის მუნიციპალიტეტი | | |
| | ონის მუნიციპალიტეტი | | |
| | ცაგერის მუნიციპალიტეტი | | |
| იმერეთის რეგიონი | ქ. ქუთაისი და ქუთაისის მუნიციპალიტეტი | შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (2018 წლის 1 მარტიდან) | 36 490 |
| | ბაღდათის მუნიციპალიტეტი | | |
| | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (2/3) | | |
| | თერჯოლის მუნიციპალიტეტი | | |
| | ტყიბულის მუნიციპალიტეტი | | |
| რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი | ამბროლაურის მუნიციპალიტეტი | | |
| | ონის მუნიციპალიტეტი | | |
| სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი | ქ. ფოთი | შპს „სენაკის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“ (2018 წლის 1 მარტამდე) | 24 380 |
| | აბაშის მუნიციპალიტეტი | | |
| | სენაკის მუნიციპალიტეტი | | |
| | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი | | |
| | მარტვილის მუნიციპალიტეტი | | |
| | ხობის მუნიციპალიტეტი | | |
| | ქ. ფოთი | შპს „სენაკის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“ (2018 წლის 1 მარტიდან) | 20 200 |
| | აბაშის მუნიციპალიტეტი | | |
| | სენაკის მუნიციპალიტეტი | | |
| | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი | | |
| | ხობის მუნიციპალიტეტი | | |
| | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი | შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ | 18 180 |
| | მესტიის მუნიციპალიტეტი | | |
| | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი | | |
| გურიის რეგიონი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი | შპს „მედალფა“ | 10 480 |
| | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი | | |
| | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი | ლანჩხუთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი შპს „ნევრონი“ | 4 100 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა | ქ. ბათუმი და ბათუმის მუნიციპალიტეტი | შპს „რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო“ | 43 180. |
| | ქედის მუნიციპალიტეტი | | |
| | ქობულეთის მუნიციპალიტეტი | | |
| | შუახევის მუნიციპალიტეტი | | |
| | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | | |
| | ხულოს მუნიციპალიტეტი | | |

| ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კომპონენტის მიმწოდებლები | | თვის ბიუჯეტი (ლარი) |
|---|---|---|
| ქ. თბილისი | ა(ა)იპ – ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია | 2 070 |
| იმერეთი | შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ | 2 230 |
| კახეთი | შპს „თელავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“ | 2 230. |

| ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის სამსახური მოზრდილთათვის – კომპონენტის მიმწოდებლები | | თვის ბიუჯეტი (ლარი) |
|---|---|---|
| ქ. თბილისი | შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“ | 19 670 |
| იმერეთი | შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ | 13 320 |
| ქვემო ქართლი | შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ | 11490 |
| აჭარა | შპს „რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო“ | 10 710.“; |

**ბ) „დანართი 12.6 – თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის კომპონენტის მიმწოდებლები“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დანართი 12.6 – თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის კომპონენტის მიმწოდებლები:

| რეგიონი | რაიონი/ბენეფიციარი | დაწესებულება | გუნდების რაოდენობა | 2018 თვის ბიუჯეტი (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | გლდანის რაიონი | შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ | 2 | 14 200 |
| | ნაძალადევის რაიონი | | | |
| | დიდუბის რაიონი | ა(ა)იპ – საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია | 1 | 7 100 |
| | ჩუღურეთის რაიონი | | | |
| | კრწანისის რაიონი | | | |
| | მთაწმინდის რაიონი | | | |
| | ვაკის რაიონი | შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და | 2 | 14 200 |
| | საბურთალოს რაიონი | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სამგორის რაიონი | ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ | | |
| | ისნის რაიონი | ა(ა)იპ – მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი | 1 | 7 100 |
| კახეთის რეგიონი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი | | | |
| ქვემო ქართლის რეგიონი | ქ. რუსთავი | შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ | 2 | 14 200 |
| | გარდაბნის მუნიციპალიტეტი | | | |
| | მარნეულის მუნიციპალიტეტი | | | |
| კახეთის რეგიონი | თელავის მუნიციპალიტეტი | შპს „თელავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“ (2018 წლის 1 მაისიდან) | 1 | 7 100 |
| | ახმეტის მუნიციპალიტეტი | | | |
| | გურჯაანის მუნიციპალიტეტი | | | |
| | ყვარლის მუნიციპალიტეტი | | | |
| იმერეთის რეგიონი | ქ. ქუთაისი და ქუთაისის მუნიციპალიტეტი | შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (2018 წლის 1 მაისიდან) | 1 | 7 100 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა | ქ. ბათუმი და ბათუმის მუნიციპალიტეტი | შპს „რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო“ (2018 წლის 1 აგვისტოდან) | 1 | 7 100.“. |

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. ამასთან, დადგენილების მე-3 და მე-4 პუნქტები გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი